



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2020 წლის 24 დეკემბერი

**დისციპლინურისაქმე №70/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ**

-- -- 2019 წლის 15 აპრილს №70 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 14 მაისის №225/70-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 4 ივნისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წელს მოსამართლე --- არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა ქ. -- სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 18 მარტის უკანონო განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ, ხოლო 2019 წლის 7 მარტს შეტანილი შუამდგომლობის პასუხად მოსამართლის თანაშემწისგან წერილობით ეცნობა, რომ -- სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას განმეორებით ემსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მან წარმოდგინა ახალი გარემოებები მოსამართლემ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, დაარღვია კანონი და არ განიხილა შუამდგომლობა.

2. საჩივრის საფუძველიანობი სწინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1981 წლის 18 მარტის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს 1961 წლის რედაქციის სსკ-ის 17,104-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებით – 12 წლით, 238-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის მე-40 მუხლის საფუძველზე -- -- საბოლოოდ განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2013 წლის 2 აპრილს მსჯავრდებულმა -- -- შუამდგომლობით მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა და გაუქმების თაობაზე და საფუძველად მიუთითა -- -- მიერ ქ. -- გამომძიებელთან მიცემული ახსნა-განმარტება. -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილის განჩინებით მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობა დაუშვებლად

იქნა ცნობილი. 2013 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ -- -- საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილის განჩინება მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

-- -- 2015 წელს კვლავ მიმართა სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა და გაუქმების თაობაზე და ახლად გამოვლენილ გარემოებად მიუთითა მოწმე -- -- აღიარებითი ჩვენება. -- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ივნისის განჩინებით მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის 2015 წლის 11 დეკემბრის განჩინებით -- -- საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა -- სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 3 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ -- -- შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ.

-- -- 2019 წლის 7 მარტს მსგავსი შუამდგომლობით კვლავ მიმართა -- სააპელაციო სასამართლოს. აღნიშნულთან დაკავშირებით წერილობით განემარტა, რომ ვინაიდან -- სააპელაციო სასამართლოს ერთხელ უკვე ნამსჯელი ჰქონდა შუამდგომლობაში მითითებულ გარემოებებზე, მოკლებული იყო შესაძლებლობას განმეორებით ემსჯელა უკვე განხილულ საკითხზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის⁷⁵¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს-„მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“ (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

ამ მიმართებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივ შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია

ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“. ამდენად, უნდა განიმარტოს, რომ არსებული პრაქტიკის შესაბამისად, მოსამართლის არასწორი მოქმედება/უმოქმედობა, მხოლოდ მაშინ მიიჩნევა დისციპლინურ გადაცდომად თუ ის სცდება მოსამართლისათვის კანონით მინიჭებულ ფარგლებს და არღვევს შესაბამისი კანონის იმპერატიულ მოთხოვნებს.

იდენტური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის და პრაქტიკის (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი) შედარებითი ანალიზის საფუძველზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვისა და გაუქმების შესახებ შუამდგომლობა შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით-სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლით ზუსტად განსაზღვრულ წანამდღვრებს. აღნიშნულ დათქმაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ საქმის წარმოების განახლება სასამართლოს განაჩენის გასაჩივრების მორიგ ეტაპს არ წარმოადგენს, არამედ დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 312-ემუხლის მე-3 ნაწილის თანახმად შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს განაჩენის გადასინჯვის საფუძველი და მტკიცებულებები. ხოლო თუ შუამდგომლობა ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად არ არის დაყენებული ან დაუსაბუთებელია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 313-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით დაუშვებლად ცნობს მას.

ვინაიდან საჩივრის ავტორის შუამდგომლობაში მითითებული გარემოება არ წარმოადგენდა ისეთ გარემოებას, რომელიც შეიძლებოდა გამხდარიყო კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველი -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 12 აპრილისა და 2015 წლის 3 ივნისის განჩინებებით დაუშვებლად იქნა ცნობილი -- -- შუამდგომლობა, რაც შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2013 წლის 7 ოქტომბრისა და 2015 წლის 11 დეკემბრის განჩინებებით დარჩა უცვლელად.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას, მის მიერ 2019 წლის 7 მარტს წარდგენილ შუამდგომლობაზე -- სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიუღებლობასა და მხოლოდ წერილობითი პასუხის გაცემის შესახებ, უნდა აღინიშნოს, რომ -- სააპელაციო სასამართლოს 2013 წლისა და 2015 წლის განჩინებით უკვე ნამსჯელი ჰქონდა -- -- 2019 წლის 7 მარტის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობაში მითითებულ გარემოებებზე, ამდენად -- სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას განმეორებით ემსჯელა იგივე საკითხზე და აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი წერილობით ეცნობა შუამდგომლობის ავტორს.

მოსამართლის მიერ ერთი და იგივე საფუძველით შუამდგომლობის განხილვა გამოიწვევდა ერთი და იგივე საკითხის რამდენჯერმე გადაწყვეტას, რაც ფაქტობრივად უტოლდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტების კანონიერებისა და დასაბუთებულობის კიდევ ერთი, დამატებითი პროცედურის დაშვებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმესთან მიმართებაში არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების

ნიშნები. შესაბამისად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 4 ივნისის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვეტა:

-- -- 2019 წლის 15 აპრილის №70 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი